შპს
„მარჯანი-5“

ს/კ 200168282 ელ. ფოსტა: marjani5ltd@gmail.com

28 იანვარი , 2019 წელი

№01/04-19

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ კვალითში (კაშხლის მიმდებარედ) შპს „მარჯანი 5“-ის სილიკომანგანუმის ჩამოსხმის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კანონით დადგენილ დოკუმენტაციას. ამასთან მოგახსენებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობას გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა (საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის დასკვნა №39; 13.09.2018).
გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში შპს „მარჯანი 5“-ს სახელზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში- 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი) და ელ. ვერსია;
3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიტუაციური გეგმა (მანძილების მითითებით);
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი- 3 ეგზემპლარი;
5. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე -1 ეგზემპლარი;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „მარჯანი 5“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კუთვნილების თაობაზე:
8. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS -ის სისტემაში.

პატივისცემით,
შპს „მარჯანი 5“-ს დირექტორი

იოსებ სამადაშვილი